პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 214 (4208)

1970 წ. 31 ოქტომბერი, შაბათი, ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან





# მასპინძლები აშკარად სჯობდნენ

წლეულს ჩვენს მოცურავეებს კარგი სეზონი ჰქონდათ: საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც ქუთაისის „განთიადის“ აუზში გაიმართა, უფრო მეტი ახალი რესპუბლიკური რეკორდი დამყარდა, ვიდრე ბოლო სამ სეზონში ერთად. მერე ჩვენებმა სსრ კავშირის ჩემპიონატში სამი მედალი მოიპოვეს, თ. ლეკვეიშვილმა მადრიდის ევროპის პირველობიდან ორი მედალი წამოიღო, კონტინენტისა და სსრ კავშირის რეკორდები დაამყარა... გუნდში არდადეგები დაიწყო — ნაკრების წევრების ყურადღება მთელი თვით საერთო ფიზმომზადებაზე გაამახვილეს. და აი, საქართველოს სპორტსმენებს საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად ირანელი მოცურავეები ეწვივნენ.

ირანში საერთაშორისო კლასის მოცურავეები არ ჰყავთ, მაგრამ მათ შორისაც არიან ძლიერი სპორტსმენები, რომლებთანაც ძალის მოსინჯვა ღირს.

— საქართველოს სპორტსმენებთან ასპარეზობა ჩვენთვის თავისებური სკოლაა, — გვითხრა ირანის რეკორდსმენმა ო. შაჰრამიმ, როცა ვკითხეთ, როგორ აფასებს იგი ამ ორი ქვეყნის გუნდებს შორის ბიჭვინთასა და თბილისში გამართული შეჯიბრებების შედეგებს. — ირანში ცურვა საგრძნობლად ჩამორჩებოდა, ახლა კი ჩვენც დიდ ასპარეზზე გასვლას ვცდილობთ.

მასპინძლები ირანელებს აშკარად სჯობდნენ. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სტუმართა გუნდის წევრმა ხ. შიუნჯანმა მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვა, რომ საქართველოს სპორტსმენებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს მეტოქის ძალა. შიუნჯანი თავიდანვე დაწინაურდა. ნ. ზემლიანუხინი მაშინ გამოფხიზლდა, როცა ფინიშამდე ოციოდე მეტრი იყო დარჩენილი. მან ტემპს უმატა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ის შეძლო, რომ მეტოქეს დაეწია. ორივემ 58,9 წამი აჩვენა. გამარჯვება ირანელს მიეკუთვნა.

სტუმრებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს. მათ მოიგეს 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტა, თუმცა შედეგი ბრწყინვალე როდი იყო — 4.00,1. სხვა სახეობებში მასპინძლების უპირატესობა აშკარა გახლდათ. მაგალითად, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ირანელთაგან საუკეთესოს — იმავე შიუნჯანს (2.15,5), რომელმაც V ადგილი დაიკავა, სპორტის ოსტატმა ა. იოაკიმიდიმ 4 წამი მოუგო. ირანელთა გუნდის მეორე წევრი გ. შირაზი კი IX ადგილს დასჯერდა — 2.18,3.

100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში პირველობა საქართველოს გუნდის წევრებს თ. ხუბულაშვილსა (1.08,4) და დ. ფროლოვს (2.31,3) ხვდათ. ნ. კასიმმა (ირანი) შესაბამისად IV (1.09,8) და II (2.34,8) ადგილები დაიკავა. სტუმრებმა II ადგილები მოიპოვეს 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში (ო. შაჰრამი— 1.05,4 და 2.29,8), 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში.

ირანელებს მოცურავე ქალები არ ჩამოუყვანიათ. როგორც საუბარში გამოირკვა, იქ ჯერ კიდევ ძალაშია ძველი ტრადიციები. ქალებს იშვიათად ნახავთ სპორტში, განსაკუთრებით, ცურვაში.

მაგრამ ეს ტურნირი ქალთა შეჯიბრებამ მაინც დაამშვენა — ასპარეზობდნენ საქართველოს ნაკრების წევრები. თბილისელმა ვ. პროსკურინამ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გოგონათა შორის რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 1.17,5, ხოლო ი. მარგიშვილმა ასეთივე წარმატება მოიპოვა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 2.33,6.

**ო. გელაშვილი.**

• • •

სურათებზე: მარცხნივ — თ. დოლიძე, რომელმაც ბიჭვინთაში 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. მარჯვნივ — ა. იოაკიმიდი, რომელმაც ირანელებთან შეხვედრაში ყველა გაცურვა მოიგო.

ავტორის ფოტო.

## მსაჯებს სამსაჯოდ ვიწვევთ

დაიწყო თბილისის საკლუბო პირველობა კალათბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობენ „დინამოს“, უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, განათლების განყოფილების, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების კლუბები. ყოველი კლუბი წარმოდგენილია 5 გუნდით. პირველობისთვის იბრძვიან ჭაბუკები, გოგონები, ქალთა და ვაჟთა გუნდები. ასპარეზობის უკეთ ჩატარებისა და მომსახურეობის მიზნით მატჩები ეწყობა შაბათობით და კვირაობით.

უკვე განვლო ორმა ტურმა, მაგრამ ჩვენ ამჯერად შედეგებზე არ გვექნება საუბარი. ყურადღებას უფრო სხვა გარემოება იმსახურებს.

როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინ ჩვენმა რესპუბლიკამ მოსკოვს წარუდგინა იმ მსაჯთა სია, რომლებსაც ძალა შესწევთ მოემსახურონ სხვადასხვა სახის საკავშირო ტურნირებს. ეს სია საკმაოდ ვრცელია. სამწუხაროდ, საკლუბო პირველობის მატჩების მსაჯობას ამ სიიდან მხოლოდ 3 არბიტრი — რ. ხომერიკი, გ. ავალიშვილი და მ. ქურიძე გამოეხმაურა. მსაჯების ნაკლებობა მიმდინარე შეჯიბრების მთავარი ხარვეზია.

ტურნირი დეკემბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. იმედია, რომ მსაჯები გამოეხმაურებიან ამ სასარგებლო ღონისძიებას და ხელს შეგვიწყობენ მის ნორმალურად ჩატარებაში.

**მ. ქურიძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## ახალი ამბები

● **ლენინაკანი**, 29 ოქტომბერი. აქ მიმდინარეობს მშვილდოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. 90 მეტრზე ასპარეზობაში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ევროპის ჩემპიონი ვ. სიდორუკი — 281 ქულა. ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 70 მეტრზე. ყველას აჯობა ა. პეუნოვამ — 292 ქ. ორივე შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია.

● **ზაპოროჟიე**, 29 ოქტომბერი. ფეხბურთში უკრაინის ჩემპიონი გახდა ადგილობრივი „მეტალურგის“ გუნდი. გაისად ეს კოლექტივი „ა“ კლასის პირველ ჯგუფში ითამაშებს.

● **სოჭი**, 29 ოქტომბერი. დიდოსტატებისა და ოსტატების პაექრობაში გათამაშდა 11 ტური. დიდოსტატებიდან კვლავ ლიდერობს მ. ტალი — 9 ქულა. ოსტატებიდან 7 ქულა აქვს გ. კუზმინს.

● **ფეოდოსია**, 29 ოქტომბერი. გაიმართა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ველოსიპედისტთა შეჯიბრება. 108 კილომეტრზე რბოლაში ჩემპიონი გახდა ა. სირომიატნიკოვი (რსფსრ). ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 50 კილომეტრზე. გაიმარჯვა ლ. სპირიდონოვამ (რსფსრ). გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ „უროჟაის“ სპორტსმენები.

● **ჩერნოვცი**, 30 ოქტომბერი. აქ დამთავრდა „შრომითი რეზერვების“ პროფტექნიკური სასწავლებლების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ჭაბუკ მოკრივეთა შეჯიბრება. წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დ. შიუკაშვილმა (63 კგ) და ვ. ბორტნიკოვმა (74 კგ). მათ თავიანთ წონით კატეგორიებში ჩემპიონის სახელი მოიპოვეს. საუკეთესო ტექნიკისთვის დაჯილდოვდა ზ. ბასილაძე.



◆ **ბუდაპეშტი**, 30 ოქტომბერი. აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დელეგაცია, (ხელმძღვანელი ს. პავლოვი), რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს უნგრეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან.

◆ **ჰალე**, 30 ოქტომბერი. ტაშკენტელმა საერთაშორისო ოსტატმა ვ. ბორისენკომ პირველი-მეორე ადგილები გაიყო ვ. ნოვარასთან (გდრ) ერთად აქ დამთავრებულ ტურნირში. ორივე მოჭადრაკე ქალმა დააგროვა 8-8 ქულა.

◆ **სოჭი**, 30 ოქტომბერი. დიდოსტატებისა და ოსტატების პაექრობის XII ტურში სენსაცია მოხდა. მ. ტალმა წააგო ვ. ცეშკოვსკისთან, მაგრამ იგი ლიდერობას მაინც ინარჩუნებს — 9 ქულა. ოსტატებში კვლავ წინაა გ. კუზმინი — 8.




# 11 მედალი და 110 ქულა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კომუნარსკსა და დუშანბეში ჩატარდა სამბისტთა საკავშირო პირადი პირველობა. გთავაზობთ პრიზიორთა სიას:

58 კგ. 1. ი. ხოში (სვერდლოვსკი), 2. გ. ყაყიჩაშვილი (თბილისი), 3. ხ. რუზიკულოვი (ტაშკენტი), ი. კუტლიევი (სარატოვი).

62 კგ. 1. შ. ფიცხელაური (თბილისი), 2. ნ. კოზიცკი (კიევი), 3. ი. ბადალიაკინი (კომუნარსკი), ვ. გორეევი (კიშინიოვი).

66 კგ. 1. ფ. მარტყოფლიშვილი (თბილისი), 2. ს. სუსლინი (ლენინგრადი), 3. ჯ. ხორბალაძე (გორი), ვ. ბუტირსკი (მოსკოვი).

70 კგ. 1. ტ. ნოვიკოვი (ხარკოვი), 2. დ. რუდმანი (მოსკოვი), 3. ვ. დვოინიკოვი (ჩელიაბინსკი), ი. კოლპაკოვი (მოსკოვი).

75 კგ. 1. ი. შარკანსკი (ოდესა), 2. ს. ნატალენკო (ლენინგრადი), 3. ნ. სტოლბოვი, ნ. ფეოდოროვი (ორივე — სვერდლოვსკი).

80 კგ. 1. ა. ციუპაჩენკო (მოსკოვი), 2. ტ. კოტიკი (კიშინიოვი), 3. ს. კასოევი (ორჯონიკიძე), რ. ქაიხოსროშვილი (გორი).

86 კგ. 1. კ. რომანოვსკი (მოსკოვის ოლქი), 2. ვ. პანკრატოვი (მოსკოვი), 3. ა. მუზაევი (თბილისი), ვ. ტაკმაკოვი (რიგა).

93 კგ. 1. ი. სოლოდუხინი, 2. ბ. მიშენკო (ორივე — მოსკოვი), 3. დ. გურნიაკი (კიევი), ი. ტროფიმოვი (მოსკოვის ოლქი).

100 კგ. 1. ვ. უსიკი (კიშინიოვი), 2. ნ. ექვთიმიშვილი (გორი), 3. ვ. კუზნეცოვი (მოსკოვი), გ. თანდელოვი (გორი).

მძიმე. 1. გ. ონაშვილი (თბილისი), 2. ვ. გუცუ (კიშინიოვი), 3. ჯ. ზაზუნაშვილი (თბილისი), ა. მალაციძე (თბილისი).

მართალია ჩემპიონატი პირად ხასიათს ატარებდა, არაოფიციალურად მოეწყო პარალელური ჩათვლა როგორც რესპუბლიკებს, ისე სპორტსაზოგადოებებს შორის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკებში საქართველომ დიდი უპირატესობით მოუგო II ადგილზე მყოფ რუსეთის ფედერაციას. სპორტსაზოგადოებებში კი უძლიერესი „დინამო“ იყო.

სულ კომუნარსკსა და დუშანბეში ჩვენი რესპუბლიკის 46 სამბისტი ასპარეზობდა. მათ შორის 11-მა სხვადასხვა ხარისხის მედალი დაისაკუთრა. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ჩათვლას პირველი 8 ადგილი იძლევა, ცხადია პრიზიორთა რიცხვიც ერთი ორად გაიზრდება.

ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ პრიზიორთა სამეულები. დაუმატოთ მათ ის სამბისტებიც, რომლებმაც სასპარტაკიადო ჩათვლით დამატებითი ქულები მოუტანეს რესპუბლიკას. გამოდის, რომ საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს 22-მა ათლეტმა 110 ქულა აიღო. ეს, რა თქმა უნდა, დიდი გამარჯვებაა.

გადავხედოთ დანარჩენ „პრიზიორთა“ ვინაობას და დავრწმუნდებით, რომ სამბოს გეოგრაფია ჩვენს რესპუბლიკაში ძალზე ფართოა და მრავალფეროვანი. 58 კგ. — გ. ბეინაშვილი (კასპი) — V ადგილი; 62 კგ. — ი. იმერლიშვილი (ხაშური) — V; 70 კგ. რ. მაღალთაძე (გორი) — V, ჯ. გუთნიაშვილი (კასპი) — VII; 75 კგ. — ვ. ბორჩაშვილი (გორი) — VI, ა. მარგველანი (თბილისი) — VII; 80 კგ.— ე. ნინიაშვილი (თბილისი) — VII, გ. გოგოლაური (თბილისი) — VIII; 80 კგ. — ვ. იაშვილი (გორი) — VI, შ. ჩოჩოშვილი (გორი) — V; მძიმე — რ. ოდიშელიძე (თბილისი) — V.

ჩემპიონატის საბოლოო შედეგების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის სამბისტთა წარმატების მრუდი ასეთია: თბილისელმა სამბისტებმა აიღეს 61 ქულა, გორელებმა — 39, კასპელებმა — 6, ხაშურელებმა კი — 4.

ახლა კი გადავხედოთ პრიზიორთა შემადგენლობას და მათ გეოგრაფიულ სადაურობას. სულ მედლების განაწილებაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის 17-მა ქალაქმა. გათამაშდა 10 ოქროს, 10 ვერცხლისა და 20 ბრინჯაოს მედალი. ჯილდოები დაისაკუთრეს:

| | ოქრ. | ვერ. | ბრ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 1 | 3 | 7 |
| მოსკოვი | 2 | 3 | 3 | 8 |
| კიშინიოვი | 1 | 2 | 1 | 4 |
| სვერდლოვსკი | 1 | — | 2 | 3 |
| მოსკოვის ოლქი | 1 | — | 1 | 2 |
| ხარკოვი | 1 | — | — | 1 |
| ოდესა | 1 | — | — | 1 |
| ლენინგრადი | — | 2 | — | 2 |
| გორი | — | 1 | 3 | 4 |
| კიევი | — | 1 | 1 | 2 |
| სარატოვი | — | — | 1 | 1 |
| ტაშკენტი | — | — | 1 | 1 |
| კომუნარსკი | — | — | 1 | 1 |
| ჩელიაბინსკი | — | — | 1 | 1 |
| რიგა | — | — | 1 | 1 |
| ორჯონიკიძე | — | — | 1 | 1 |

ცნობილია, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში მონაწილეობენ რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. ჩვენ შევეცადეთ პრიზიორები სწორედ ამ პრინციპით დაგვეხარისხებია. მივიღეთ ასეთი სურათი:

| | ოქრ. | ვერ. | ბრ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 2 | 6 | 11 |
| მოსკოვი | 2 | 3 | 4 | 8 |
| უკრაინა | 2 | 1 | 2 | 5 |
| მოლდავეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| რუსეთის ფედ. | 2 | — | 6 | 8 |
| ლენინგრადი | — | 2 | — | 2 |
| ლატვია | — | — | 1 | 1 |
| უზბეკეთი | — | — | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელვისებური იერიში

1968 წლის საკავშირო პირველობის ფინალი თავისუფალ ჭიდაობაში მახაჩყალაში ჩატარდა. აქ ალექსანდრე მედვედი 20 წლის მანამდე უცნობ მოჭიდავეს ელგუჯა გოცირიძეს ხვდებოდა. რათა წმინდა დამარცხებისგან დაეხსნა თავი, საქვეყნოდ სახელგანთქმული, დაუმარცხებელი ვეტერანი იძულებული გახდა ხიდური გამოეყენებინა. ამ დროს ძალაში რომ ყოფილიყო ძველი წესი, რომლის თანახმადაც ხალიჩაზე ბეჭებით გაკვრაც კი სუფთა გამარჯვებად ითვლებოდა, ეს მოულოდნელი ამბავი კიდევ უფრო გასაკვირი იქნებოდა. მაგრამ ახლა მოქმედებდა წესი, რომლის ძალითაც სუფთა გამარჯვებად მხოლოდ ბეჭებზე ყოვნა ითვლებოდა. შეხვედრის შემდგომი ბედი ძნელი ამოსაცნობი არ იყო: გოცირიძე ყველა წესის თანახმად ბეჭებზე გაკრული აღმოჩნდა. მაგრამ 1969 წლის იანვარში, თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ელგუჯამ იგივე ილეთი გამოიყენა და პირველივე პერიოდში 4 ქულა მოუგო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორს ე. ნადიროვს. შემდეგ გოცირიძემ ასეთივე მანერით დაამარცხა მსოფლიო პირველობის ორგზის პრიზიორი, ირანელი აზვარი, ტურნირიც მოიგო და საერთაშორისო კლასის ოსტატის წოდებაც მოიპოვა.

1970 წლის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საკავშირო პირველობის ფინალში ე. გოცირიძემ 36 წამში ხალიჩას გააკრა საბჭოთა კავშირის პირველობათა არაერთგზის პრიზიორი, ესტონელი კ. ლიივა.

რამ განაპირობა ახალგაზრდა მოჭიდავის ესოდენ ბრწყინვალე წარმატება? იგი დაახლოებით 105 კილოგრამს იწონის, რაც მძიმე წონის მოჭიდავისთვის ბევრი როდია. ვერც ძალისმიერი მომზადებით დაიკვეხნის მაინცდამაინც, არც განსაკუთრებული ამტანობით გამოირჩევა. პირიქით... მაგრამ ელგუჯას იარაღი ხალიჩაზე აზროვნება და სისწრაფეა. პირველის წყალობით მან მოიფიქრა თავისებური ილეთი, რომელშიც გაერთიანებულია უკანა სარმა და ბიძგით გდება, სისწრაფემ კი ამ ილეთის წარმატებით გამოყენების საშუალება მისცა.

ჭიდაობის ყოველ ილეთს აქვს თანმიმდევრული ფაზები: საწყისი მდგომარეობა რაც მოვლების განხორციელების საშუალებას იძლევა; მოვლება, რომლის გამოყენებითაც ილეთის ჩატარება შეიძლება; და ბოლოს, თვით სარმა, რომელიც მეტოქის სახიფათო მდგომარეობაში დაჭერით მთავრდება. ე. გოცირიძის ილეთს ასე აკადემიურად ვერ დავყოფთ. აქ მეტოქის ხელის თავს ან მხარს ზემოთ მოძრაობის პასუხად მოიერიშე ილეთის ჩატარებას იწყებს. იგი ჯერ კიდევ მეტოქესთან კონტაქტამდე უქმნის სხეულს მოძრაობის ინერციას. თუმცა, გადავიდეთ კადრობრივ განხილვაზე (გადაღებულია წამში 24 კადრის სისწრაფით), მოცემულ ანალიზში ყველა კადრი გამოყენებული არ არის, მაგრამ ჩვენ მათი რიგითი ნომრებიც მოგვყავს.

კადრი 1-ლი (რიგითი № 1): საწყისი მდგომარეობა, როცა არავითარი საფრთხე არ იგრძნობა.

კადრი მე-2 (№ 3): მოჭიდავე ხელს ალმართავს, ჩვეულებრივი მოძრაობა, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის ყურადღების გაფანტვა ან საპასუხო რეაქციის ახსნა. ამ მოძრაობის პასუხად მოიერიშე მოჭიდავე უკვე თავისი ილეთის ჩატარებას იწყებს, რისთვისაც სხეულს რამდენადმე წინ გადააადგილებს. ეს მოძრაობა ჯერჯერობით არაფრით შესამჩნევი არ არის.

კადრი მე-3 (№ 4): წინ წადგმული მარცხენა ფეხი საყრდენს სცილდება და უკან მოძრაობს. სხეული საყრდენს კარგავს და წინ ვარდნას იწყებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რათა შემდგომში მოჭიდავემ სიმძიმის ძალა გამოიყენოს და თავისი წონით იმოქმედოს მეტოქეზე.

კადრი მე-4 (№ 5): მოჭიდავეს მარცხენა ფეხი მკვეთრად გადააქვს ხალიჩაზე საწყის მდგომარეობაზე ოდნავ უკან, აკეთებს ბიძგს უფრო მახვილ კუთხეში და ამით წინ მოძრაობის ინერციას ქმნის. ამასთან, მთელი სხეული გამაგრებულია. წელი მტკიცედ აკავშირებს მენჯს სხეულის ზედა ნაწილთან. ხელები მოვლებისთვის ემზადება.

კადრი მე-5 (№ 6): მოიერიშე მარცხენა ხელს ქვევიდან მხარზე ჰხვევს მეტოქეს, ამასთან, მარჯვენა ფეხი იწყებს მძლავრ ქანს. ნაბიჯი წინ. ამ მოქმედების განვითარებით წონის მნიშვნელოვანი ნაწილი მეტოქეზე გადადის. ამას გარდა, იქმნება წინაპირობა მისი წაქცევისთვის როგორც დაგროვილი ინერციის, ისე მარცხენა ფეხით ბიძგის ხარჯზე.

საინტერესოა, რომ მოვლება მთლიანად სრულდება მხოლოდ მე-9 (№ 10) კადრზე, ფეხით ქანის დასრულების მომენტისთვის.

მე-2 და მე-9 კადრებზე აღბეჭდილ მომენტებს შორის მოიერიშის მენჯი 75-80 სანტიმეტრით წინ გადის და ეშვება, უფრო ზუსტად, ეცემა 25 სანტიმეტრით. 0,3 წამში მოიერიშე ასწრებს და პრაქტიკულად ამთავრებს კიდეც იერიშს, ამასთან, მოვლება სრულდება თითქმის მისი კულმინაციის მომენტში. შემტევი ფეხი მე-4 და მე-10 (№ 11) კადრებს შორის, ესე იგი, 0,25 წამში დაახლოებით 1,5 მ მანძილს გადის. ასეთი სისწრაფე შეიძლება მხოლოდ მოკლე მანძილებზე რბენის კარგ დაბალ სტარტს შევუფარდოთ. მე-8 კადრზე აღბეჭდილი პოზიციაც ძალიან გვაგონებს სასტარტო გარბენს, მხოლოდ სხეული და თავია ოდნავ აწეული.

მე-11 კადრში (№ 13) იგრძნობა, რაოდენ დიდ ძალას ქმნის მოიერიშე, რათა მეტოქე ბეჭებზე დააგდოს. დაბოლოს, მე-12 კადრზე (№ 23) აღბეჭდილია დასკვნითი მდგომარეობა.

კინოგრამაზე, რომელიც აქ მოვიყვანეთ, ამ ელვისებურ იერიშს ასრულებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებული ლ. თედიაშვილი. ეს ილეთი მას ჩვენ შევასწავლეთ.

სწავლების მეთოდიკა ამ ვარჯიშებისგან შედგება:

1. ვარჯიში ფეხით ბიძგის შესასწავლად წონასწორობის დაკარგვით. 1-ელ კადრზე ნაჩვენები საწყისი მდგომარეობიდან წონა ოდნავ წინ უნდა იქნეს გადატანილი, იმგვარად, რომ სიმძიმის ცენტრის პროექცია საყრდენი მოედნის წინა საზღვარს დაემთხვეს. მოჭიდავემ მარცხენა ფეხის წვერი ოდნავ უნდა გადგას, მკვეთრი ბიძგი გააკეთოს და, თითქოს წინ ვარდებაო, დიდი ნაბიჯი გადადგას.

2. ვარჯიში ზურგის გამაგრებისთვის. სრულდება წყვილებში. იმავე საწყისი მდგომარეობიდან მოჭიდავემ თავი უნდა დახაროს და პარტნიორს ხელისგულით დაეყრდნოს (ეს უკანასკნელი საგანგებოდ ამ მიზნით შეაგებებს ხელს), ამავე დროს, მაჯაშიც ჩაავლოს ხელი.

მოჭიდავემ გაიმეოროს იგივე მოძრაობა ფეხებით და ყურადღება მიაქციოს, რომ ზურგი რკალივით მოხაროს, ოღონდ წელში არ გაიზნიქოს.

შეასრულოს იგივე ვარჯიში ფეხებით იმავე საწყისი მდგომარეობიდან მეწყვილესთან ერთად. წინ მოძრაობისა და ვარდნის პერიოდში ქვემოდან ორივე ხელით დაიჭიროს მეტოქის ხელი. ამ ვარჯიშის საშუალებით მოჭიდავე ეჩვევა თავისი წონის მეტოქეზე გადატანას, ბიძგისთვის ინერციისა და საყრდენი ფეხის ძალის გამოყენებას.

4. მე-3 ვარჯიშს დაუმატოს იმავსახელიანი წვივის გარედან დაკავება, ისე, რომ მენჯი ამ დროს რაც შეიძლება წინ იყოს გაწეული.

რათა ილეთი მრისხანე იარაღად იქცეს, აუცილებელია მოჭიდავემ იგი შეისწავლოს ორივე [illegible] სხვადასხვა მდგომარეობიდან [illegible].

დასასრულ შეიძლება გაკეთდეს ორი შენიშვნა:

1. აღწერილი ილეთი ერთ-ერთი იშვიათი ხერხთაგანია, რომლებიც დანარჩენებისგან იმით გამოირჩევიან, რომ მათი შესრულება ჯერ კიდევ მოვლებამდე იწყება. ეს ქმნის მოულოდნელობის ფაქტორს, რაც, როგორც წესი, ძალიან აბნევს მეტოქეს.

2. აუცილებელია ტექნიკურ სიახლეთა მოძებნა და შესწავლა. ტექნიკურ მოქმედებათა სიახლეს ხომ ჭიდაობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**ი. ალიხანოვი,**
დოცენტი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.



კადრი 1.



კადრი 2.



კადრი 3.



კადრი 4.



კადრი 5.



კადრი 6.



კადრი 7.



კადრი 8.



კადრი 9.



კადრი 10.



კადრი 11.



კადრი 12.

# რამდენიმე უსიამოვნო მაგალითი

**თავდაპირველად მაიაკოვსკის განათლების რაიონულ განყოფილებაში დავრეკეთ. კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. კოტრიკაძემ შემოგვთავაზა რამდენიმე საათით რაიონის სკოლებს ვესტუმროთო. მაგრამ განათლების განყოფილების მესვეურებმა უარი გვითხრეს (?!). იძულებული ვართ თვითონ გავახსენოთ მათ, რა მდგომარეობაა მაიაკოვსკის რაიონის ზოგიერთ სკოლაში.**

წითელხევის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა მ. კოტორეიშვილმა VI2 კლასის მოსწავლეებს გაკვეთილი პირდაპირ საკლასო ოთახში ჩაუტარა. სასკოლო სპორტულ მოედანზე მერვეკლასელები გამოვიდნენ. 24 მოსწავლიდან გაკვეთილზე 14 აღმოჩნდა. მასწავლებელს დაავიწყდა კონსპექტის მოტანა. საერთოდაც, როგორც ჩანს, კოტორეიშვილი გულმავიწყი კაცია. ერთი თვის მანძილზე არც ერთ მოსწავლეს ნიშანი არ მიუღია. მთელი თვის განმავლობაში ვერ მოაწესრიგეს სიგრძეზე ხტომის ორმოები, თუმცა მძლეოსნობას ახლა პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

სკოლაში აღმოჩნდა ექვსი სექცია და უმოქმედო აქტივი. მ. კოტორეიშვილს გადაუწყვეტია ნებისმიერი სექციის მეცადინეობა კვირაში ერთხელ ჩაატაროს, რათა არ გადაიღალოს.

ასეთი დამოკიდებულების შედეგია, რომ გასულ სასწავლო წელს 417 მოსწავლიდან მარტო ერთმა შეასრულა მეორე, შვიდმა — მესამე, თოთხმეტმა — მოზარდთა თანრიგი. ის ამბავი, რომ ჩვენს ქვეყანაში სპორტულ-მასობრივი და თავდაცვითი მუშაობის საკავშირო კომკავშირული დათვალიერება ტარდებოდა, სკოლაში არც გაუგიათ.

მასწავლებელი ამტკიცებდა, 263 ფიზკულტურელი გვყავსო, მაგრამ მათგან 87 „მკვდარი სული" აღმოჩნდა. არ დაგავიწყდეთ, რომ მ. კოტორეიშვილი 12 წელია მასწავლებლად მუშაობს.

მუშაობით მაინცდამაინც არც როხის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს ნ. სვანაძეს დაუტვირთავს თავი. ვარციხის საშუალო სკოლის მასწავლებელს ა. ხურციძეს X კლასში ფიზკულტურის გაკვეთილზე სპორტული ფორმა არ ეცვა და მოსწავლეებიც სიგრძეზე ხტომაში... პიჯაკებში გამოწყობილნი ვარჯიშობდნენ.

მაიაკოვსკის რაიონის სკოლებში 37 ფიზკულტურის მასწავლებელი მუშაობს. ბევრი მათგანი სულით და გულით ეკიდება საყვარელ საქმეს. დავასახელოთ, მაგალითად, ქვემო დიმის სკოლიდან ს. მუმლაძე, მაიაკოვსკის საშუალო სკოლიდან — ა. ქვანია. მაგრამ ნაკლი უფრო საგანგაშოა, რადგან იგი სასწრაფოდ გამოსწორებას მოითხოვს. საიდუმლო არ არის, რომ რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ვ. გიორგობიანი) დიდი ხანია არ შეუმოწმებია ფიზკულტურის მასწავლებლები. ამ უკანასკნელთ კონტროლიც აკლიათ და საჭირო რჩევა-დარიგებაც.

**ვ. ბუკინი,**
(ჩვენი სპეც. კორ.).
მაიაკოვსკის რაიონი.

# SOS!

მკითხველი უკვე იცნობს ჩვენი გაზეთის ამ რუბრიკას. რედაქციაში ამ ბოლო ხანს კიდევ შემოვიდა რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის ახალგაზრდების რამდენიმე წერილი. ავტორები გულისტკივილს გამოთქვამენ ადგილებზე სპორტული ბაზების უკმარობის გამო.

**წერილი პირველი** (თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის ახალგაზრდები): „სოფელში სტადიონი არა გვაქვს. ერთი წელია ვემუდარებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ქურციკიძეს გამოგვიყოს ნაკვეთი ფეხბურთის მინდვრის მოსაწყობად, მაგრამ ამაოდ. დანარჩენი ჩვენზე იყოს, თავად ვიმუშავებთ, მოვაწყობთ მინდორს, გუნდსაც ჩამოვაყალიბებთ და ვივარჯიშებთ".

**წერილი მეორე** (ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოლის ახალგაზრდები): „სპორტული ბაზები და ინვენტარი არა გვაქვს. კოლმეურნეობას აქვს გამოუყენებელი მიწის ნაკვეთები, მაგრამ ფეხბურთის მინდვრისთვის ადგილის გამოყოფაზე უარს გვეუბნებიან. დაგვეხმარეთ!".

**წერილი მესამე** (ახმეტის რაიონის სოფელ ახშინისველების ახალგაზრდები. სულ 6 ხელმოწერა): „ჩვენს სოფელში ვერ ნახავთ ვერც ფეხბურთის მინდორს, ვერც ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებს. ბუნებრივია, არც შეჯიბრებები ტარდება. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ყაჩმაზაშვილს რამდენჯერმე მივმართეთ ამის თაობაზე, მაგრამ ყური არ გვათხოვა".

**წერილი მეოთხე** (გეგეჭკორის რაიონის სოფელ ველიდკარის ახალგაზრდები): „ადგილობრივი ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთის მინდორი უპატრონოდაა მიტოვებული და მის კეთილმოწყობაზე არავინ ფიქრობს"...

წინა სამ წერილს კომენტარი არ სჭირდება, ახალგაზრდების მოთხოვნა სამართლიანია. მეოთხე წერილი კი, სადაც 200 ველიდკარელი ახალგაზრდის გულისტკივილია გამოხატული, რბილად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევს. განა ამ ახალგაზრდებს არ შეუძლიათ თვითონ იზრუნონ მინდვრის კეთილმოწყობისთვის? როგორც ჩანს, ადგილობრივი მეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციას სპორტი თავის ღვიძლ საქმედ არ მიაჩნია. პირიქით კი უნდა იყოს: სწორედ კომკავშირის ორგანიზაცია უნდა ჩაუდგეს სათავეში ახალგაზრდებს და საკუთარი ძალებით მოაწყოს ბაზები, გაშალოს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მეურნეობის მშრომელთა შორის.

# სსრ კავშირის პირველობა

ფეხბურთი

I ჯგუფი „ა" კლასი

27 ოქტომბერს გაიმართა „ა" კლასის I ჯგუფის გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები.

თბილისის „ლოკომოტივი" კიშინიოვში ეთამაშებოდა ადგილობრივ „მოლდოვას". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „სტროიტელი" (აშხაბადი) — „დაუგავა" (რიგა) 0:2, „პამირი" (დუშანბე) — ასკ (კიევი) 1:0, „ალგა" (ფრუნზე) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 2:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:0, „კარპატი" (ლვოვი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 4:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „დინამო" (ლენინგრადი) 2:2, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 0:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „რუბინი" (ყაზანი) 1:0, „ყაირათი" (ალმა-ათა) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 6:3, „ვოლგარი" (ასტრახანი) — ასკ (ხაბაროვსკი) 1:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყაირათი" (ალმა-ათა) | 40 | 24 | 10 | 6 | 68—28 | 58 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 39 | 23 | 11 | 5 | 65—22 | 57 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 40 | 24 | 9 | 7 | 49—24 | 57 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 40 | 15 | 18 | 7 | 42—23 | 48 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 40 | 19 | 9 | 12 | 58—43 | 47 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 40 | 18 | 10 | 12 | 47—35 | 46 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 40 | 18 | 9 | 13 | 35—40 | 45 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 40 | 16 | 12 | 12 | 42—32 | 44 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 39 | 14 | 15 | 10 | 46—40 | 43 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 40 | 14 | 11 | 15 | 44—38 | 39 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 40 | 13 | 13 | 14 | 39—33 | 39 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 40 | 13 | 12 | 15 | 36—46 | 38 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 40 | 14 | 9 | 17 | 35—37 | 37 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 40 | 11 | 14 | 15 | 27—40 | 36 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 40 | 11 | 14 | 15 | 32—49 | 36 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 39 | 12 | 10 | 17 | 33—44 | 34 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 40 | 8 | 16 | 16 | 21—35 | 32 |
| „დაუგავა" (რიგა) | 40 | 10 | 11 | 19 | 34—48 | 31 |
| „პამირი" (დუშანბე) | 40 | 11 | 9 | 20 | 38—59 | 31 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 40 | 9 | 12 | 19 | 33—43 | 30 |
| ასკ (კიევი) | 40 | 10 | 9 | 21 | 37—50 | 29 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 39 | 6 | 7 | 26 | 21—73 | 19 |

II ჯგუფი „ა" კლასი

II ზონა

27 ოქტომბერს ჩატარებული მატჩები „ა" კლასის II ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ტრუდი" (ვორონეჟი) — „ლოკომოტივი" (კალუგა) 5:1, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „მეტალურგი" (ტულა) 2:0, „სალუტი" (ბელგოროდი) — „დინამო" (ბრიანსკი) 3:2, „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო" (სტავროპოლი) 3:1, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „დინამო" (მახაჩყალა) 1:0, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 5:0, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „დინამო" (კიროვაბადი) 1:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ვოლგა" (გორკი) 3:1, „სატურნი" (რიბინსკი) — „ვოლგა" (კალინინი) 2:2.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 40 | 22 | 14 | 4 | 58—27 | 58 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 39 | 20 | 15 | 4 | 48—14 | 55 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 40 | 21 | 11 | 8 | 52—28 | 53 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 40 | 20 | 11 | 9 | 77—36 | 51 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 40 | 16 | 16 | 8 | 48—34 | 48 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 40 | 15 | 16 | 9 | 36—34 | 46 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 40 | 14 | 15 | 11 | 45—50 | 43 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 40 | 15 | 11 | 14 | 52—40 | 41 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 40 | 16 | 9 | 15 | 48—47 | 41 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 40 | 13 | 15 | 12 | 36—41 | 41 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 40 | 11 | 17 | 12 | 40—48 | 39 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 38 | 13 | 12 | 13 | 31—32 | 38 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 40 | 11 | 16 | 13 | 38—42 | 38 |
| „ვოლგა" (გორკი) | 37 | 11 | 13 | 13 | 43—39 | 35 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 40 | 12 | 11 | 17 | 43—52 | 35 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 38 | 12 | 10 | 16 | 40—42 | 34 |
| „დინამო" (ბათუმი) | 37 | 10 | 14 | 13 | 28—38 | 34 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 40 | 8 | 17 | 15 | 33—39 | 33 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 40 | 12 | 8 | 20 | 37—39 | 32 |
| „დილა" (გორი) | 38 | 11 | 10 | 17 | 40—53 | 32 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 40 | 7 | 11 | 22 | 32—72 | 25 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 40 | 4 | 8 | 28 | 19—74 | 16 |

„ბ" კლასი

II ზონის I ქვეჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 33 | 17 | 10 | 6 | 54—27 | 44 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 33 | 15 | 13 | 5 | 46—34 | 43 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 32 | 17 | 7 | 8 | 41—26 | 41 |
| „ტორპედო" (ეისკი) | 32 | 14 | 11 | 7 | 46—23 | 39 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 33 | 10 | 19 | 4 | 41—27 | 39 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 32 | 14 | 10 | 8 | 53—27 | 38 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 32 | 16 | 6 | 10 | 49—36 | 38 |
| „კახეთი" (თელავი) | 32 | 15 | 5 | 12 | 41—37 | 35 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 31 | 10 | 13 | 8 | 28—22 | 33 |
| „სულორი" (ვანი) | 33 | 12 | 7 | 14 | 29—45 | 31 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 30 | 8 | 12 | 10 | 38—37 | 28 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 32 | 9 | 9 | 14 | 24—35 | 27 |
| „დინამო" (სოხუმი) | 32 | 7 | 12 | 13 | 29—37 | 26 |
| „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) | 31 | 8 | 9 | 14 | 25—35 | 25 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 31 | 8 | 6 | 17 | 31—64 | 22 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 32 | 6 | 7 | 19 | 25—55 | 19 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 20 | 4 | 10 | 6 | 17—19 | 18 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 33 | 5 | 8 | 20 | 21—52 | 18 |

## ჯერჯერობით...

ქუთაისში შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ადგილობრივი „ტორპედო" უმასპინძლა ტაშკენტის „ფახთაქორს".

გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:1.

# 4 „მშრალი" ბურთი

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 28 ოქტომბერი.

სსრ კავშირი (ნაკრები) — იუგოსლავია (ნაკრები) 4:0 (2:0).

სსრ კავშირი: ზანიკოვი (პშენიჩნიკოვი), ისტომინი, შესტერნიოვი, აფონინი (ძოძუაშვილი), კაპლიჩნი, კოლოტოვი, მუნტიანი (ასათიანი), კოპეიკინი (ნოდია), ფედოტოვი, შევჩენკო, ევრიუჟიხინი.

იუგოსლავია: მუტიბარიჩი, ტეშანი, სტეპანოვიჩი, ჯორჯოვიჩი, პაუნოვიჩი, ხოლცერი, ერკოვიჩი, ზაევიჩი (მუსემიჩი), ბუკალი, აჩიმოვიჩი, ჯაიჩი.

მსაჯი მ. კროდეცკი (პოლონეთი).

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს არაერთი ოფიციალური თუ ამხანაგური შეხვედრა აქვთ ჩატარებული ერთმანეთთან. ამ ტრადიციას დასაბამი მიეცა 1952 წელს, ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე. სულ ამ ორ გუნდს შორის ნათამაშევია 9 მატჩი, რომელთაგან 5 მოიგო საბჭოთა გუნდმა, 1 — იუგოსლაველებმა და 3 დამთავრდა ფრედ.

მაგრამ არც ერთხელ იუგოსლავიის ნაკრებს არ განუცდია ისეთი დამარცხება, როგორც 28 ოქტომბერს მოსკოვში. პირდაპირ უნდა ითქვას, თამაში ვერ გამოდგა საინტერესო. კერძოდ, იუგოსლაველებმა ვერაფრით ვერ გამოიჩინეს თავი და უიმედოდ წააგეს მატჩი. თვით განთქმულმა ფორვარდმა ჯაიჩმაც ვერ აჩვენა სახარბიელო თამაში.

ანგარიში გაიხსნა მე-20 წუთზე. სტუმრების კარისკენ ბურთი დაარტყა ფედოტოვმა, მას ოდნავ შეუცვალა მიმართულება შევჩენკომ. ეს ბურთი არ იყო ძნელი მოსაგერიებელი, მაგრამ იუგოსლაველთა მცველები ამ მომენტში ძალზე უსუსურად გამოიყურებოდნენ — 1:0.

34-ე წუთზე ფედოტოვმა თავისი ინდივიდუალური რეიდი დაამთავრა ძლიერი და ზუსტი დარტყმით დაახლოებით 18 მეტრიდან — 2:0.

მესამე ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა ნაკრების დებიუტანტმა ყაზანელმა კოლოტოვმა. საერთოდ, პირველი 3 ბურთი სტუმრების კარში ნაკრების დებიუტანტებმა გაიტანეს.

ანგარიში „დაამრგვალა" ნოდიამ, რომელმაც მიუსწრო მუტიბარიჩის მიერ მოგერიებულ ბურთს და კარში გაგზავნა იგი — 4:0.



სურათზე: მესამე ბურთი იუგოსლაველთა კარში.

ვ. ტრუშნიკოვის ფოტო.

## უცხოეთის მინდვრებზე

სტოკჰოლმი. ევროპის ჩემპიონატის საპასუხო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და ირლანდიის ნაკრები გუნდები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს შვედებმა (ამ გუნდების პირველი შეხვედრა დუბლინში დამთავრდა ფრედ — 1:1).

სოფია. ბულგარეთის ნაკრებს 15 ნოემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაში აქვს ნორვეგიის გუნდთან. მისთვის მოსამზადებელ პერიოდში ბულგარელებმა თავიანთ დედაქალაქში მიიღეს რუმინეთის ოლიმპიური ნაკრები და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1.

იმავე სტადიონზე ითამაშეს ბულგარეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა და იუგოსლავიის „რადნიჩკიმ". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:3.

სარაგოსა. ესპანეთის ფეხბურთელებმა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში საბჭოთა ნაკრების მოწინააღმდეგეები არიან, აქ გამართეს საწვრთნელი შეხვედრა საბერძნეთის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს ლუისმა და კუინიმ.

კასაბლანკა. მაროკოს ნაკრებმა თავის მინდორზე ფრედ დაამთავრა ამხანაგური შეხვედრა იუგოსლავიის „ვოივოდინასთან" — 0:0.

ლონდონი. ინგლისის ეროვნული ჩემპიონატის მატჩი „ტოტენჰემ ჰოტსპურსა" და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" შორის, რომელიც „ტოტენჰემმა" მოიგო ანგარიშით 5:0, 3 ბურთი გაიტანა ინგლისის ეროვნული ნაკრების წევრმა პიტერსმა.

კურიტიბა. ყველაზე უფრო განთქმული მეფეთა შორის — ფეხბურთის მეფე, 30 წლის პელე, როგორც თვითონ მან განაცხადა, გამოეთხოვება ფეხბურთს 1972 წლის მსოფლიოს მინი-ჩემპიონატის შემდეგ. ეს ტურნირი მოეწყობა ბრაზილიაში და მიეძღვნება ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის 150 წლისთავს.

ტყავის ბურთის ჯადოქარს არაერთხელ უთქვამს, რომ თავს დაანებებს თამაშს და ამას აპირებდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინაც, მაგრამ ამჯერად, ეტყობა, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა. „მე სიამოვნებით ვითამაშებდი რომელიმე წყნარ კლუბში, სადაც არ მომთხოვდნენ ძალების მაქსიმალურ ხარჯვას და არ გამაწამებდა გაუთავებელი ტრავმები". — თქვა მან და ინტერვიუს დასასრულს დაუმატა: „მაინც, ფეხბურთს უნდა დავანებო თავი ერთხელ და სამუდამოდ, სანამ იგი მე მომიღებდეს ბოლოს. არ მინდა დაჩაგრულებული წავიდე მინდვრიდან".

## ჩემპიონობა რეკორდით

ავჭალის სასროლეთზე გრძელდება საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. შეჯიბრებაში სრული შემადგენლობით მხოლოდ თბილისისა და აფხაზეთის კოლექტივები მონაწილეობენ. ქუთაისის გუნდი მთლიანად არაა დაკომპლექტებული, აჭარის მსროლელები კი არ ჩამოვიდნენ.

რამდენიმე ვარჯიშში ჩემპიონები უკვე გამოვლინდნენ. ქალთა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3 × 20) სროლაში ყველას აჯობა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ს. ბუჩუკურმა, რომელმაც 600-დან 559 ქულა დააგროვა. ამავე იარაღით წოლელა 60 გასროლაში იმარჯვა სოხუმელმა ლ. ალიხანოვამ — 583 ქულა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა ო. კუდრიავცევა (თბილისი) — 575 ქულა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე 30 გასროლაში პირველობა ტ. კაზონნიძემ (თბილისი) დაისაკუთრა — 265 ქულა.

ვაჟებში თბილისელი სპორტსმენები დაწინაურდნენ. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3 × 40) სროლა მოიგო ვ. აბაჯიანმა — 1119 ქულა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. თავდიდიშვილმა „გაქცეულ ტახზე" 80 გასროლით 356 ქულა მიიღო, შემდეგ კი „გაქცეულ ირემზე" ასპარეზობაში 50 ერთმაგი გასროლით 235 ქულა დააგროვა და რესპუბლიკის რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, ქულით გააუმჯობესა.

რ. საგინაშვილი.

## ახმეტელებმა იმარჯვეს

ამას წინათ ახმეტაში ჩატარდა სამბისტთა ზონალური შეჯიბრება საქართველოს V სპარტაკიადის პროგრამით. ტურნირში მონაწილეობდა 14 რაიონის 117 ათლეტი.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. ახმეტა, 2. გარდაბანი, 3. დუშეთი.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: ო. კახურაშვილმა (დუშეთი), ნ. სალთხუციშვილმა (გარდაბანი), ი. იმერლიშვილმა (ხაშური), ზ. გუტაშვილმა, ვ. გაგუნაშვილმა (ორივე — ახმეტა), ა. ოქროპირიძემ, ს. ფეიქრიშვილმა (ორივე — დუშეთი), გ. კახაბრიშვილმა (გარდაბანი), ბ. ბალაკაშვილმა (ახმეტა), ი. ელოშვილმა (თელავი).

ახმეტელთა სპორტის სიყვარულზე და შეჯიბრების ორგანიზებულად ჩატარების უნარზე არაერთხელ დაგვიწერია. გამონაკლისი არც ეს ტურნირი იყო. შეჯიბრების მასპინძლებმა თავი არ დაზოგეს, რათა მონაწილეებს ბრძოლის ნორმალური პირობები ჰქონოდათ. სწორედ ამან განაპირობა ჭაპლეულ შეხვედრათა მაღალი დონე და ხარისხი.

ახმეტელ ფალავნებს არა ერთი და ორი სასახელო გამარჯვება უზეიმიათ, მაგრამ რაიონულ ცენტრში სამბისტთა ასპარეზობა არასდროს ჩატარებულა და, ცხადია, იქაური გულშემატკივრებისთვის სამბო ახალი ხილი იყო. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჭიდაობის ამ სახეობამ რაიონში დიდი პატივი და სახელი მოიხვეჭა. ახმეტელებმა ადვილად აუღეს ალღო სამბოს და შეიყვარეს იგი.

ტურნირი სათანადოდ რომ იყო ორგანიზებული, ამას შემდეგი ფაქტიც მოწმობს: საუკეთესო სამბისტებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენდნენ თავს, დაწესებული იყო სხვადასხვა სახის პრიზი. სულ 22 ასეთი ჯილდო განაწილდა.

ამბობენ, კარგად მოწყობილი შეჯიბრება სპორტის საუკეთესო პროპაგანდისტიაო. ამ აზრის სიმართლე ჩატარებულმა ტურნირმაც ცხადყო. დარწმუნებული ვართ, ახმეტელთა ენთუზიაზმი სულ მალე სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

## [illegible]

✦ თერჯოლა

ჩატარდა რაიონის რვაწლიანი და საშუალო სკოლების გუნდების ზონალური შეჯიბრება მძლეოსნობაში. სარბიელზე გამოვიდა 189 მოსწავლე. რვაწლიან სკოლებში I ადგილი დაიკავა ტყიბულჰესის გუნდმა. საშუალო სკოლებს შორის იმარჯვეს სიქთარვის მძლეოსნებმა.

ვ. კუტალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში

# მეზღვაურები თუ დინამოელები?

მოსკოვი, 29 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ერთდღიანი შესვენების შემდეგ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა კვლავ აახმიანეს საცურაო აუზი. თუმცა, გუშინ მაინც გაიმართა ერთი მატჩი: 26 ოქტომბერს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდმა დაამარცხა ალმა-ათის „დინამო“ — 6:5, მაგრამ დინამოელებმა გააპროტესტეს შეხვედრა. პროტესტი დააკმაყოფილეს. და მეტოქეები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ბაქოელები ამჯერადაც უკეთ თამაშობდნენ და კვლავ გაიმარჯვეს — 7:6.

დღევანდელი დღის ცენტრალური შეხვედრა, რა თქმა უნდა, ჩემპიონობის ორი პრეტენდენტის — მოსკოვის „დინამოსა“ და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდების მატჩი იყო. მეზღვაურებს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, ვინაიდან მეტოქენი ორი ქულით იყვნენ წინ. ამასთან, დინამოელები ჩემპიონატში ჯერ არ დამარცხებულან. ეს კიდევ უფრო ზრდიდა მატჩისადმი ინტერესს. მეზღვაურებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრა და პირველი მარცხი აგემეს დინამოელებს — 6:5. მათ გამარჯვებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ დინამოელთაგან ადრე გავიდა დაცვის ბურჯი გ. ჩიქვანაია. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მეტოქეთა ბოლო მატჩებზე. მეზღვაურები მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებს ხვდებიან, ხოლო დინამოელები — „ბალტიკას“. თუ ორივე გუნდმა გაიმარჯვა, მაშინ ჩემპიონის გამოსავლენად მათს შორის დამატებითი მატჩი დაინიშნება.

უნივერსიტეტის წყალბურთელებმა ფრედ—5:5 — ითამაშეს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის წარმომადგენლებთან და ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს.

მოსკოვის „ტორპედომ“ დიდი ანგარიშით — 8:1 — სძლია მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივს“. ლენინგრადის „ბალტიკამ“ მოუგო ალმა-ათის „დინამოს“ — 7:5.

თბილისის დინამოელები კიეველ თანაკლუბელებს ხვდებოდნენ. მატჩის დასაწყისშივე თბილისელმა ისელიძემ 4-მეტრიანი საჯარიმოთი გაიტანა გოლი. პერიოდის მიწურულს კიეველებმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს და წონასწორობა აღადგინეს. შემდეგ კვლავ ისელიძემ ისახელა თავი—2:1. კიეველებმა კვლავ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა და ანგარიში ისევ გათანაბრდა. თბილისელებმა აქტიურად შეუტიეს მეტოქის კარს. ჯერ უშანგიშვილმა, შემდეგ კი ისელიძემ წინ გაიყვანეს თავიანთი გუნდი. თბილისელთა დაცვის შეცდომის შემდეგ კიეველებმა შეამცირეს სხვაობა და, როცა მატჩის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, ბორჭკოვსკიმ კვლავ გაათანაბრა ანგარიში. საბოლოოდ, ფრე — 4:4.

ბოლო მატჩს თბილისელები მოსკოვის ტორპედოელებთან გამართავენ.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) | 17 | 14 | 2 | 1 | 91—49 | 30 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 17 | 14 | 2 | 1 | 76—45 | 30 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 17 | 10 | 5 | 2 | 86—63 | 25 |
| „დინამო“ (კიევი) | 17 | 4 | 8 | 5 | 65—67 | 16 |
| „დინამო“ (თბილისი) | 17 | 5 | 5 | 7 | 73—78 | 15 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 17 | 5 | 5 | 7 | 72—77 | 15 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრადი) | 17 | 6 | 2 | 9 | 77—74 | 14 |
| „დინამო“ (ალმა-ათა) | 17 | 6 | 1 | 10 | 80—84 | 13 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) | 17 | 3 | 5 | 9 | 75—90 | 11 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვის ოლქი) | 17 | 0 | 1 | 16 | 39—107 | 1 |

# განა ეს არის მხარდაჭერა?

მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, სამხტომში მსოფლიო რეკორდსმენმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სოხუმელმა, ვ. სანეევმა წლეულსაც ბევრი შეჯიბრება მოიგო. მან ჯერ სსრ კავშირის ჩემპიონობა შეინარჩუნა, შემდეგ ევროპის პირველობასა და თასის გათამაშებაში იმარჯვა, მერე კი მსოფლიო უნივერსიადაში ბადალი არ ჰყავდა. სოხუმელი სპორტსმენი შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო და ბრწყინვალე შედეგებს აღწევდა. ორჯერ საგრძნობლად მიუახლოვდა იგი თავისივე მსოფლიო რეკორდს (17,39 მ). ეს სპორტის მოყვარულებისთვის უკვე ცნობილია, მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ ვიქტორი ვარჯიშის დროს უფრო შორსაც ხტებოდა — რამდენიმეჯერ მას 17,40 მეტრზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა.

განსაკუთრებით კარგად მომზადებულად სანეევი თავს ოქტომბერში გრძნობდა, მსოფლიო რეკორდზე საიერიშოდ ემზადებოდა და ამ მიზნის მიღწევა საქართველოს ჩემპიონატში სურდა. მაგრამ რესპუბლიკის პირველობის გამართვა ნოემბრის დასაწყისისთვის გადაწყდა. სანეევს ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელებისგან პერსონალურად ხანმოკლე შესვენება და მომავალი დიდი სტარტებისთვის სამზადისი ჰქონდა დაგეგმილი. ამიტომ მან საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტს სთხოვა ოქტომბრის დამლევს გაემართათ რაიმე შეჯიბრება, სადაც გამოვიდოდა და მსოფლიო რეკორდზე იერიშის მიტანას შეძლებდა.

ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციაში ოლიმპიელის თხოვნას მხარი დაუჭირეს — რესპუბლიკური ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული სამმხტომელთა შეჯიბრება სოხუმში გადაიტანეს. ამის შესახებ სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, ყველა სამმხტომელს დროულად აცნობეს და შეჯიბრება 24 ოქტომბრისთვის დანიშნეს.

ასპარეზობისადმი სოხუმელთა ინტერესი უჩვეულოდ დიდი იყო. ქალაქში გაკრული აფიშები გულშემატკივრებს აფხაზეთის დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე იწვევდნენ. ტრიბუნები ასპარეზობის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გაივსო, მაგრამ... სარბიელზე მხოლოდ 5 მძლეოსანი გამოვიდა. რა მოხდა?

მას შემდეგ, რაც მძლეოსნურ სარბიელზე სანეევი გამოჩნდა, საქართველოს სპორტსმენთა უმეტესობა მარცხის შიშით მასთან შებმას ერიდება (ამის შესახებ შარშანაც ვწერდით). სამწუხაროდ, ოლიმპიელს მხარი არც წლეულს აუბეს, სოხუმში საასპარეზოდ ჩუკანოვისა და ფრიდმანის (ორივე — „ბურევესტნიკი“) გარდა არავინ ჩავიდა.

განსაკუთრებით გვაოცებს უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის სამმხტომელების (მწვრთნელი ვ. ჩხეიძე) საქციელი. სპორტის ოსტატმა დარახველიძემ („სპარტაკი“) და პირველთანრიგოსანმა გოგიამ („განთიადი“) ფეხის ტკივილი მოიმიზეზეს. „კოლმეურნის“ გუნდის წევრმა ცინცაძემ, რომელიც სოფლის მძლეოსანთა საკავშირო ტურნირისთვის ადლერში ემზადება, სოხუმამდე ჩასვლა ვერ მოახერხა, „ლოკომოტივსა“ და „შრომით რეზერვებს“ კი სამმხტომელები საერთოდ არ ჰყავთ.

განა ეს არის მხარდაჭერა? შეჯიბრება საქართველოს ჩემპიონატის პროგრამითაც რომ არ ყოფილიყო გათვალისწინებული, სპორტსმენებს სოხუმში ჩასვლა და მსოფლიო რეკორდსმენისთვის დაძაბული ბრძოლის ატმოსფეროს შექმნა არ უნდა დაზარებოდათ. ასეთ მხარდაჭერას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. არ დავივიწყდეთ, რომ ორიოდე კვირის წინ სანეევმა სწორედ სოხუმში, თავის სახელობის პრიზზე გამართულ საკავშირო ტურნირში (იგი უკონკურსოდ გამოდიოდა) აჩვენა წლეულს მისთვის საუკეთესო შედეგი — 17,34 მ.

საქართველოს ჩემპიონობა სანეევმა მოიპოვა — 16,87 მ. II ადგილზეც სოხუმელი სპორტსმენი შაბანოვი (15,07) გავიდა. მესამე იყო ჩუკანოვი (თბილისი) — 14,90.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია, რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრების ხელმძღვანელობა ალბათ იმსჯელებენ მომხდარ ფაქტზე, შეჯიბრებისადმი სამმხტომელების, მათი მწვრთნელების გულგრილ დამოკიდებულებაზე და სათანადო გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

ო. ივდოშვილი.

## ჩვენს ფოტო-ობიექტივში



მსოფლიო რეკორდის ავტორები შვეულმფრენების რადიოსამართავი მოდელებით შეჯიბრებაში, ყაზანელი ავიამოდელისტები ლ. ალდოშინი და ი. ტრუნოვი (მათმა შვეულმფრენმა 1 კილომეტრი და 21 მეტრი იფრინა) ამზადებენ ჰიდროთვითმფრინავის ახალ რადიომოდელს. ყაზანის საავიაციო ინსტიტუტის ახალგაზრდა მასწავლებლებს გადაწყვეტილი აქვთ მსოფლიო რეკორდი დაამყარონ ჰიდროთვითმფრინავით სწორი მიმართულებით სიშორეზე ფრენაში.

* * *

სურათზე: ლ. ალდოშინი (მარჯვნივ) და ი. ტრუნოვი ჰიდროთვითმფრინავის მოდელით.

ბ. მიასნიკოვის ფოტო.



ყუბანში, პატარა საკურორტო ქალაქ გორიაჩი კლიუჩში დამთავრდა რსფსრ-ს სოფლის სპორტსმენთა თამაშები ჭადრაკსა და შაშში. მოჭადრაკეთა შორის I ადგილი დაიკავა კრასნოდარის მხარის გუნდმა. მოშაშეთა შორის წინ იყო იაკუტთა კოლექტივი.

* * *

სურათზე: თამაშების მონაწილე იაკუტი მოჭადრაკე ე. ვასილიევა.

ე. შულეპოვის ფოტო.

## რივა — მთავარ როლში

იტალიელმა კინორეჟისორმა ფრანკო ძეფირელიმ (რომელმაც სახელი გაითქვა ფილმით „რომეო და ჯულიეტა“) დაიწყო მუშაობა ახალ ისტორიულ ფილმზე „ფრანჩესკო ასიზელი“. ამ ნაწარმოების გადაღებას ერთი რამ აფერხებდა — ვერა და ვერ გამოინახა მთავარი როლის შემსრულებელი. ძეფირელიმ გასინჯა მრავალი პროფესიონალი მსახიობი, მაგრამ ყველა დაიწუნა.

და აი, ცნობილი გახდა რეჟისორის არჩევანი. ფრანჩესკო ასიზელის როლს შეასრულებს გამოჩენილი ფეხბურთელი ლ. რივა.

● ●

## ოპტიმისტური კომუნიკე

უეფა-მ გამოაქვეყნა კომუნიკე, სადაც ლაპარაკია ფეხბურთში „ჯენტლმენური სულისკვეთების“ ზრდის შესახებ. შარშან ძალიან ხშირი იყო „ჩხუბიანი თამაში“, ტრავმები. მსაჯებს სათანადო ინსტრუქცია ჰქონდათ მიცემული და უხეშ მოთამაშეებს მინდორს ატოვებინებდნენ.

წლეულს მდგომარეობა გაუმჯობესდა. ახლა, ნაკრებთა დონეზე 130 მატჩის ჩატარების შემდეგ, რომლებშიც 3 ათასზე მეტი ფეხბურთელი მონაწილეობდა, მინდორი დაატოვებინეს მხოლოდ ორ მოთამაშეს. ეს სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

## რივერას ახალი ჯილდო

გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელი ჯ. რივერა კვლავ ოპოზიციაში უდგას ნაკრების ხელმძღვანელობას. იგი უკმაყოფილოა იმით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დროს ნაკლებად გამოჰყავდათ სარბიელზე. განსაკუთრებით ბევრი მოხვდა რივერას გულშემატკივართაგან იტალიის ფეხბურთის ფედერაციას. თავის მხრივ ამ უკანასკნელს კარგი გასამართლებელი საბუთი ჰქონდა — იტალიელებმა მექსიკაში ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს, მეტის მიღწევა კი აშკარად არ შეეძლოთ.

ახლა ორივე მხარე მტკიცედ აღგას თავისას — ნაკრების ხელმძღვანელობა ივიწყებს რივერას (მას არ უთამაშია ამასწინანდელ მატჩში ბერნში, შვეიცარიის ნაკრებთან), გულშემატკივრები კი აღმერთებენ ამ მოთამაშეს.

ამ დღეებში გამოცხადდა, რომ იტალიის საუკეთესო სპორტსმენის ჯილდო — „ვერცხლის ნიღაბი“ მიეკუთვნათ რივერასა და მსოფლიო ჩემპიონს, მოტოციკლისტ ჯ. აგოსტინის.

● ●

## ბობეკი მოგზაურობს

ნარსულში გამოჩენილი იუგოსლაველი ცენტრფორვარდი, ახლა კი მწვრთნელი ს. ბობეკი სამშობლოში არ ჩერდება: ჯერ იყო და საბერძნეთის „პანათინაიკოსს“ წვრთნიდა, შემდეგ მცირე ხნით ბელგრადში დაბრუნდა და „პარტიზანს“ ჩაუდგა სათავეში. მას შემდეგ, რაც „პარტიზანმა“ გაუგონარი მარცხი (0:6) იწვნია დრეზდენის „დინამოსთან“ საბაზრო ქალაქების თასზე შეჯიბრებაში, ბობეკმა ამ გუნდის დატოვება ამჯობინა. უკანასკნელი ცნობებით, იგი იზმირის „ალთაის“ ჩაუდგება სათავეში.

● ●

## ისევ „სელტიკი“ და „გლაზგო რეინჯერსი“

შოტლანდიის თასის ფინალში ისევ ძველი მეტოქეები გავიდნენ — „სელტიკი“ და „გლაზგო რეინჯერსი“. ეს ორი სახელოვანი გუნდი დანარჩენ შოტლანდიელ კლუბებს გაცილებით აღემატება და თითქოს ამ ფაქტში მოულოდნელი არაფერია...

მოულოდნელი არა და უსიამოვნო ამბები კი მოელის გლაზგოს პოლიციას. საქმე ისაა, რომ „სელტიკისა“ და „გლაზგო რეინჯერსის“ მატჩები მუდამ დიდ აჟიოტაჟს იწვევს არა მარტო სტადიონზე — მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს „ჰემპდენ-პარკზე“, არამედ ქალაქშიც. ეს აყალმაყალი მარტო სპორტული როდია. ერთმანეთს დაერევიან ხოლმე გუნდების გულშემატკივრები — კათოლიკები და პროტესტანტები.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

### თბილისის სპორტული კვირეული

კალათბურთი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი. თბილისის საკლუბო პირველობა. დასაწყისი: შაბათობით 15 ს. კვირაობით 12 ს.

ფეხბურთი. 1 ნოემბერი. საქართველოს პირველობა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სქური“ (წალენჯიხა). ასკ-ს სტადიონი, დასაწყისი 13 ს.

• KOPANA • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • LABĠARUGAS •

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 6 უე 04476